1 აპრილი

ორშაბათი
2024

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

ნუ ეშინიათ, წადით და აუწყეთ... მთ 28,10

დედაკაცები გაბედულად მივიდნენ სამარხთან. ისინი უსმენენ ანგელოზის თხოვნას, რომ ახარონ მოციქულებს მკვდრეთით აღმდგარი იესო, ვინც მათ გალილეაში მიუძღვის. და აჰა, თავად იესო ხვდება მათ და იმეორებს ანგელოზის ნათქვამს. დედაკაცები შეეცდებიან დარჩნენ მოციქულებთან და მათთან ერთად დაამოწმონ მისი აღდგომა. ვისაც იესო უყვარს, მარტო არ მოქმედებს.

2 აპრილი

სამშაბათი 2024

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

[წმ. ფრანცისკე პაოლელი, იტალიელი მეუდაბნოე +1507]

საქმ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

ქალო, რად ტირი? იო 20,13

„ქალო“ – მნიშვნელოვანი მიმართვაა. ასე უწოდებს წმინდა წერილი ევას, როდესაც მას, ადამი ისე ხვდება, როგორც ღვთის საჩუქარს, მისი ცხოვრების სისრულეს. მკვდრეთით აღმდგარი იესო, პირველად, მარიამ მაგდალელს ხვდება: მისთვის იგი ღმრთის საჩუქარია. მაგრამ რად ტირის? ნუთუ არ იცის, რარიგ ძვირფასია თავისი ღმერთის თვალში?

3 აპრილი

ოთხშაბათი:
2024

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

უგნურნო და გულმძიმენო სარწმუნებლად ლკ 24,25

აღმდგარი იესო სულაც არ აპირებს გაკიცხოს ორი დაღვრემილი და იმედგაცრუებული მოწაფე. ისინი მართლაც აჩვენებენ უგუნურებას, რადგან არც წმინდა წერილს ითვალისწინებენ და არც მის მიერ არაერთგზის ნათქვამს. მეც რა უგუნური ვარ! ისე ვცხოვრობ, თითქოს იესოს სულაც არ დაუმარცხებია სიკვდილი.

4 აპრილი

ხუთშაბათი
2024

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

[წმ. ისიდორე, სევილიის ეპისკ., ეკლესიის მოძღ. +636]

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

შეხედეთ რემს ხელებს... ეს მე ვარ თვითონ ლკ 24,39

იესო, შენი ხელები შეეხო გარდაცვლილ
გოგოს და ნაინელი ქვრივის ვაჟის საკაცეს. ამ
ხელებმა გატეხეს პური ხუთი ათასი ადამია-
ნისთვის და მათთან ერთად, შენი ხორცი და
შენი სისხლით სავსე თასი უბოძე მოციქულე-
ბს. შენ მათ უჩვენებ, რაოდენ ცხადია სამ-
სჯვლებით მიყენებული ნაიარევი. მოწაფეებს
ესმით, რომ მათ სიცოცხლეს ყოველთვის თან
ახლდება შენი სიკვდილი და აღდგომა.

5 აპრილი

პარასკევი
2024

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

[წმ. ბიკენტი ფერერი, ხუცესი, ესპანელი დომინიკელი +1419]

საქმ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

სხვაში არავისშია სხნა საქმ 4,12

წერა-კითხვის უცოდინარი, მებადური და ცოდვილი პეტრე, მღვდელმთავართა ოჯახის წევრებს ელაპარაკება. უკვე, აღარავის ძალუძს ჭეშმარიტების სიტყვების გაცემა, გარდა იმისა, ვინც იესო ირწმუნა და საუბრობს მასზე. მართლაც გსურს შენი სიცოცხლის გადარჩენა? გზა ერთია: მთელი არსებით გაჰყვე იესო ქრისტეს, მკვდარსა და აღმდგარს.

6 აპრილი

შაბათი
2024

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

უსაყვედურა ურწმუნოება მარ 16,14

ვინც ამბობს, რომ იესოს აღდგომა მოგონილია, ვერ წვდება ამ სიტყვების არსს. თავად მოციქულები განაცვიფრა იესოს ხილვამ, ხოლო როცა იხილეს, მოჩვენება ეგონათ იგი. ვიდრე რწმენამდე მივალთ, ჩვენ ყველა გავდივართ ურწმუნოების გზას. რწმენა ძღვენია, ძღვენი, რითაც არ უნდა ვიკვეხნიდე. ეს ძღვენი ღმერთისგან უნდა გამოვითხოვო.

7 აპრილი

კვირა
2024

პასექის II კვირადღე, (ღმრთაებრივი გულმოწყალებისა) «ბ», [ს], თ

[წმ. ჟან ბატისტ დე ლა სალ, ხუც., ქრისტიანულ სკოლათა ძმების დამაარსებელი +1719 რუანში]

საქმ 4,32-35; ფს 117; 1იო 5,1-6; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ნეტარ არიან, ვისაც არ ვუნახიეარ
და მირწმუნეს იო 10,29

„ნეტარ არიან“ ანუ ღმერთთან ახლოა ის, ვინც მოციქულთა სიტყვას ირწმუნებს. თომა კი სხვაგვარად იქცევა. იგი უფრო მეტად საკუთარ თვალებსა და თითებს უჯერებს, ვიდრე მოძმეთა მოწმობას. იესო მოწყალეა თომას მიმართ და მოწყალეა ჩემს მიმართ, ვინც მასზე უკეთესი როდი ვარ.
მადლობა, იესო!

8 აპრილი

ორშაბათი
2024

უფლის ხარება, დდ, [ს],თ

ეს 7,10-14;8,10გ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ჭიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ჟველანი აღიჟსნენ სულიწმიდით საქმ 4,31

მხურვალე ლოცვის შემდეგ, აჰა სასწაულთა სასწაული: ყველა იღებს ნიჭს, რათა ემსგავსონ ღმერთს, სულიწმიდის მატარებლები! ამჩნევენ კიდეც ამას, რადგან აცხადებენ ღმერთის სიტყვას და ისე გასცემენ მას, როგორც უძვირფასეს საგანძურს.

საქმ 4,32–37; ფს 92; იო 3,7–15

ძმა დემეტრე თბილელის გახსენება (+1321)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე

ასევე უნდა ამაღლდეს კაცის ძე იო 3,14

ღამეა. უჩუმრად მოდის მავანი, სახელად ნიკოდემოსი. სურს იესოს უსმინოს, და იესოც ეცნობა მას, არა როგორც სასწაულთმოქმე-დი, არამედ ის, ვინც უნდა მოკვდეს ცოდვაში მდგარი ადამის მოდგმის გადასარჩენად. ვინც მას შეიყვარებს ჯვარზე გაკრულს, გადარჩება ცოდვის გამანადგურებელი ძალისგან, წუ-თისოფლის ძალისაგან თავისუფალი, ახალი სიცოცხლისათვის აღმდგარი.

10 ოთხშაბათი: 2024

აპრილი

პასექის ჟამის II კვირა [II], თ

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

უფლის ანგელოზმა ღააღო
საპყრობილის კარი საქმ 5,19

რა სიურპრიზია! ამას ვინ წარმოიდგენდა? ისინიც კი არ მოელოდნენ ამას, არც არაფერი უკითხავთ თავიანთ ღმერთზე. რა შეუძლიათ ანგელოზებს! არასოდეს დავკარგავ იმედს, რადგან ღმერთს ჯერ კიდევ ჰყავს ანგელოზები და თუ მოინდომებს, გამოგზავნის მათ.

11 აპრილი

ხუთშაბათი
2024

პასექის ჟამის II კვირა [II]

წმ. სტანისლავი, კრაკოვის ეპისკოპოსი, წამებული, +1079 წ

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

ღამოზომილად როდი იძლევა სულს იო 3,34

იესო, შენ ისევ ნიკოდემოსს ელაპარაკები, იმისათვის, რომ თავი განუცხადო. ჩვენც ამ გზით შეგიცნობთ: ეს შენ ხარ, ვინც გვძირავ მამის ნათელში და სიყვარულში! ამას იმ სიტყვებით აკეთებ, რასაც მისი გულიდან ამოხაპავ. გისმენ, უფალო.

12 აპრილი

პასექის ჟამის II კვირა [II], თ

პარასკევი
2024

საქმ 5,34-42; ფს 26; იო 6,1-15

კვლავ მთაზე განმარტოდ-ვდა იო 6,15

როდესაც იესო მიხვდა, რომ ხალხს არ ესმოდა პურის ნიშანი, არც ნაჭამი და არც მორჩენილი, მიიმალა. ხალხი მის გამეფებას ლამობდა. მას არ უნდოდა ადამიანთა ხელით გამეფება, ის მხოლოდ მამა ღმრთისაგან ელის გამეფებას. ადამიანთა მიერ გამეფებული მეფე მბრძანებლობს, ხოლო ღმრთისაგან გამეფებული თავმდაბლობს. მხოლოდ ლოცვა დაგვრჩენია!

13 აპრილი

შაბათი
2024

პასექის ჟამის II კვირა [II], თ

წმ. მარტინ I, პაპი, ყირიმში წამებული, +656

საქმ 6,1-7; ფს 32; იო 6,16-21

ეს მე ვარ, ნუ ეშინიათ! იო 6,20

რატომ ეშინოდათ? მათ არასოდეს უნახავთ წყალზე მოარული. იესოსგან ამასაც შეგვიძლია ველოდოთ, ანუ ის, რისი გაკეთებაც არავის ძალუძს. როდესაც იგი აქაა, როგორც არ უნდა იყოს, შიში ვეღარ გაგვეკარება.

14 აპრილი

კვირა
2024

პასექის III კვირადღე, «ბ», [III], თ

[(1.IV) წმ. ღირსი იოანე შავთელი, XI-XIIსს]

საქმ 3,13-15.17-19; ფს 4; 1იო 2,1-5; ლკ 24,35-48

მათ მიაწოდეს მას შემწვარი თევზის ნაჭერი ლკ 24,42

ისინი კვლავ ხედავენ მას, მათდა გასა-
კვირად. არ იციან რა იფიქრონ. როგორ
ხედავ მას, როცა პილატეს ჯარისკაცებმაც
კი მკვდარი იხილეს? გაოცება კიდევ უფრო
ძლიერდება, როდესაც ხედავენ, როგორ ჭამს
მათ თევზს. მეც შემიძლია მხოლოდ დავი-
მდაბლო თავი და ვირწმუნო. ღმერთისთვის
შეუძლებელი არაფერია და მე არ შემიძლია
დავატყვევო იგი ჩემი გაგების უნარში.

15 აპრილი

ორშაბათი
2024

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

(2.IV) წმ. გიორგი მაწყვერელი, IX-XIს

საქმ 6,8–15; ფს 118; იო 6,22–29

იმ სახრეზე იხრუნეთ, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისათვის იო 6,27

ხალხი ეძებდა იესოს, სურდა კიდევ ერთხელ ეჭამა სასწაული პური. თუმცა, ის მაინც პური იყო, მეტი არაფერი. არ ესმოდათ, რომ ეს მიანიშნებდა მასზე, როგორც მამისაგან მოვლენილზე, ჭეშმარიტ მწყემსზე. მათ უნდა მოეძიათ არა წინადღის ნამცეცები, არამედ ახალი საკვები, რომელიც ახალ სიცოცხლეს კვებავს, რასაც ღმერთი თესავს ჩვენში იესოს მოსვლით.

16 აპრილი

სამშაბათი
2024

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

საქმ 7,51-8,1; ფს 30; იო 6,30-35

მოსემ კი არ მოგცათ პური ზეციდან იო 6,32

იესო პასუხს სცემს. მოსეს დროინდელი მანანა ყოველდღე ეძლეოდათ, დროულად და უანგაროდ. მაგრამ ამ საკვებს ხელი არ შეუშლია არც სიკვდილში და არც ცოდვაში. ღმერთის ჭეშმარიტ საზრდოს შეუძლია დაგვაბრკოლოს ცოდვაში, რადგან მასთან გვაკავშირებს, და სიკვდილში, რადგან ვინც მამასთან ერთია, უკვე მარადიულ ცხოვრებაშია.

17 ოთხშაბათი: 2024

აპრილი

საქმ 8,1-8; ფს 65; იო 6,35-40

მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს იო 6,40

ეს „უნკანასკნელი დღე“ ყოველთვის იდუმალი იყო ჩემი უმეცრებისთვის. ეს იქნება მკვდრეთით აღდგომის დღე, რომელსაც ჩემთვის მოიმოქმედებს იესო. ამ დღეს ვიხილავ ჩემს ღმერთს და აღარ ვიქნები მშიერ-მწყურვალი. ამ დღეს უნდა ველოდო თუ უკვე დაიწყო ის? ფაქტობრივად, იესო უკვე მაპურებს და მიკლავს წყურვილს, უკვე მაგემებს მამის სიყვარულს და მისი სასოებით გამოწვეულ სიმშვიდეს.

18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ
2024

საქმ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

ᲞᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲫᲪᲔᲛ, ᲩᲔᲛᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲐ

ᲘᲝ 6,51

“... ჩემი ხორცი წუთისოფლის სიცოცხლისთვის”: ამ “ხორცის” გარეშე სამყარო ცნობს მხოლოდ სიკვდილს, და სიკვდილის მოლოდინს. დალოცვილი ვარ, რადგან შემიძლია ვჭამო პური, რომელიც „ხორცია“, სიცოცხლის მომნიჭებელი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სიკვდილთან, რამეთუ სიყვარულის ღმერთთან, მარადიულ ღმერთთან მაკავშირებს.

19 აპრილი

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

პარასკევი
2024

საქმ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

ამ პურის მჭამელი საუკუნოდ იცოცხლებს

იო 6,58

მართლაც იდუმალია იესოს სიტყვები! მათ ახალ, განსხვავებულ სამყაროში შევყავართ; სიკვდილის შიშის გარეშე არსებულ სამყაროში. მსურს შევიდე ამ ახალ სამყაროში, არც კაცთაგან საცნაურში და არც მათი ხელით აგებულ სამყაროში. ვჭამ პურს, იესოს ხელიდან ბოძებულს და მისი სიყვარულის იარაღად გარდავიქმნები.

20 აპრილი

შაბათი
2024

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

საქმ 9,31-42; ფს 115; იო 6,60-69

სული ცხო-ველმყო-ფელია იო 6,63

იესო გვაჩვევს, რომ ერთმანეთისგან განვა-სხვავოთ და გავარჩიოთ ბიოლოგიური და სულიერი ცხოვრება. პირველი არის უკა-ნასკნელის "ადგილი". სწორედ ეს ავსებს პირველს სიხარულით, სიყვარულით სძენს მას დედააზრს, იმედით აცოცხლებს. ახლოს ვიდგები იესოსთან, რომელიც სულიწმიდას მანიჭებს, ოღონდაც კი ფუჭად არ გავლიო ცხოვრების დღეები.

21 აპრილი

კვირა
2024

პასექის IV კვირადღე, «ბ», [IV], თ

[წმ. ანსელმი, კენტერბერის ეპისკოპოსი, ბენედიქტელი, ეკლესიის მოძღვარი, +1109]

საქმ 4,8-12; ფს 117; 1იო 3,1-2; იო 10,11-18

მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის ლოცვის დღე

მე ვარ მწყემსი კეთილი იო 10,14

რამდენ სურათ-ხატს მიმართავს
იესო საკუთარი თავის გასაცნობად!
დღეს იმ სურათ-ხატს იყენებს, რითაც
წინასწარმეტყველებმა და ფსალმუნებმა
ინებეს ჩვენი მიახლოება მამის
სიყვარულთან. ის მწყემსია, რომელიც
ზრუნავს ცხვრებზე, რომ გამოკვებოს,
დაიცვას ისინი, ერთად შეინახოს. დღეს
ცხადყოფს იესო, რომ ღმერთს მისი
მეშვეობით უყვარვართ. იესო, მუდამ შენს
გვერდით ვიქნები!

22 აპრილი

ორშაბათი
2024

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

საქმ 11,1-18; ფს 41-42; იო 10,1-10

ვინცა კარიდან არ შედის... ქურდია... იო 10,1

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ცხვრებთან სიახლოვეს არა მარტო მწყემსია, არამედ ქურდები და ყაჩაღებიც დასტრიალებენ ცხვრებს. როგორ განვასხვავოთ ისინი? დავაკვირდები, რა გზით შედიან ფარეხში. თუ კარით გაივლიან, სანდონი არიან. თუ იესოს მეშვეობით გაივლიან, მოვუსმენ მათ. თუ ვინმე იესოს არ უკავშირდება, მე არ მეხება: უკუვაგდებ და განვერიდები მას.

23 აპრილი

სამშაბათი 2024

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

წმ. გიორგი, წამებული ლიდაში, პალესტინაში +303 (საქართველოში აღინისნება 23 ნოემბერს)

წმ. ადალბერტი, პრაღის ეპისკოპოსი, წამებული, +997 გდანსკის მიდამოებში, პოლონეთში

საქმ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)

მე ვიცნობ მათ, და ისინი მე მომყვებიან იო 10,27

იესო, ტაძარში, კვლავ ცხვრებზე საუბრობს და ასე პასუხობს ებრაელებს. ეუბნება მათ, რომ მისი ცხვრები უსმენენ და მიჰყვებიან მას, ხოლო სხვები ამას უარყოფენ. გაიგეს ეს ყოველივე? მე მესმის, რომ სიცოცხლეს მხოლოდ იესოსგან შევიძენ.

24 აპრილი

ოთხშაბათი: 2024

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

წმ. ფიდელ სიგმარინგენელი, კაპუცინი, წამებული შვეიცარიაში, +1622.

საქმ 12,24–13,5; ფს 66; იო 12,44-50

რასაც ვლაპარაკობ, როგორც მამამ მითხრა, ისე ვლაპარაკობ

იო 12,50

იესო, შენ უწყი, რომ ყველა, ვინც უსმენს შენს სიტყვას, როდი შეისმენენ მას. არიან შენი მოძულენიც. თუმცა შენ, მამის მორჩილება გწადია და მის სიყვარულს გვიცხადებ. სიძულვილის ფასად, გისმენ შენ და ძალას ვითხოვ შენგან, რომ ვიყო შენი ერთგული მეგობარი.

25 ხუთშაბათი 2024

აპრილი

წმ. მარკოზ მახარებელი, დ, [ს], წ

1პეტ 5,5-14; ფს 88; მარ 16,15-20

ვინცა ირწმუნებს და მოინათლება, იცხორებს მარ 16,16

წმინდა მარკოზი გვაძლევს ამ ძლიერ სიტყვებს, იესო. როცა ჯვარზე ამაღლებულს გიყურებთ და ყველას წინაშე ვაცხადებთ ჩვენს რწმენას, ნათლობის წყალში შესვლით, ღმერთი გვიხსნის სამყაროს უკუთურებიდან და მარადიული სიცარიელიდან. შენი სიტყვებით ცხოვრობდა მარკოზი: დღეს პატივს მივაგებთ მას და მადლობას ვწირავთ.

26 აპრილი

პარასკევი
2024

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

საქმ 13,26-33; ფს 2; იო 14,1-6

რემი მამის სახლში ბევრი სავანეა იო 14,2

რისი გამხელა სურს იესოს ჩვენთვის? მამას არ სჭირდება აგურის სახლი. განა მისი სახლი ის ადგილი არაა, სადაც ჩვენდამი სიყვარულ-ში გვიღებს? ასეა, ცხადია. საცხოვრებელი არაა მხოლოდ ერთი ადამიანისთვის, არამედ კრებულისთვის. სხვადასხვა „სამკვიდრო-ში“ამზადებს იესო ადგილს თითოეული ადამიანისთვის. ყოველი ჩვენგანი აქტიურად ჩაერთვება იესოს მიმდევართა რომელიმე საკრებულოში ან რომელიმე საძმოში.

27 აპრილი

შაბათი
2024

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

საქმ 13,44-52; ფს 97; იო 14,7-14

რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, იმას ვაკეთებ იო 14,13

იესო ორჯერ იმეორებს ამ დაპირებას. მნიშვნელოვანი ის კი არაა, რა ვითხოვოთ, არამედ როგორ ვითხოვოთ „ჩემი სახელით“. როდის ვითხოვ “მისი სახელით”? როცა ვიღებ მის ხსნას, როცა ჩემი ინტერესები არც ამქვეყნიურია და არც მიწიერი, მაშინ ვმოქმედებ „მისი სახელით“. მაშ, რა ვითხოვო მამისაგან? მხოლოდ ის, რაც მისი სამეფოს ასაგებად არის საჭირო.

28 აპრილი

კვირა

2024

პასექის V კვირადღე, «ბ», [I], თ

[წმ. ლუი მარი გრინიონ დე მონფორტი, ხუცესი, მონაზონთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1716;
წმ. პეტრე შანელი, ფრანგი ხუცესი მარისტი, ოკეანიის პირველი წამებული, +1841 ფუტუნამი;
წმ. ჯანა ბერეტა მოლა +1962]

საქმ 9,26–31; ფს 21; 1იო 3,18–24; იო 15,1–8

მე ვაზი ვარ, თქვენ კი ლერწები

იო 15,5

როცა ვაზს ვხედავ, ამ სიტყვებზე ვფიქრობ. ვინ ვარ მე? ამ კითხვას მხოლოდ იესოთან კავშირში ვუპასუხებ. მე მას ვეკუთვნი. დედა-მიწაზე ჩემთვის სხვა ადგილი არ არის, გარდა ქრისტეს სხეულისა. მისი ნაყოფი ჩემია და ჩემი მისია. სიხარულისა და ნუგეშის დიდი საიდუმლო!

29 აპრილი

ორშაბათი
2024

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწული, ტერციარი
დომინიკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1380 რომში,
ევროპის მფარველი, დ, თ

1იო 1,5 – 2,2; ფს 102; მთ 11,25-30

დაიდეთ ჩემი უღელი მთ 11,29

წმიდა ეკატერინე სიენელი თავისი ხანმოკლე ცხოვრებით, ჩვენთვის დიდი მაგალითია. მან საკუთარი მხრებით ზიდა იესოს უღელი, მასთან ერთად სიხარულით განვლო თავისი ცხოვრება, ბრძოლითა და რისკით. გაითავისა იესოს სურვილები, იესოს ნება, იესოს ჯაფა, მაშინ, როდესაც ის საყვედურებს წერდა მთავრებსა და პაპებს, და როდესაც სიკვდილის წუთებში მსჯავრდებულებს ეხმარებოდა: ყველაფერს თანაბარი გამბედაობით და სიყვარული ასრულებდა.

30 აპრილი

სამშაბათი
2024

პასექის ჟამის V კვირა [I], თ

(17.IV) წმ. ეფრემ დიდი მაწყვერელი, IXს;
წმ. პიუს V, პაპი, +1572 რომში

საქმ 14,19-28; ფს 144; იო 14,27-31

რემს მშვიდობას ვაძლევთ თქვენ იო 14,27

იესოს ეს დაპირება იმდენად შთამბეჭდავია, რომ ყოველთვის გაისმის წირვებზე. ჩვენ ყოველ ჯერზე გვესმის მასზე საუბარი, როცა ქრისტეს სხეულს ვეზიარებით. მისი მშვიდობა ის სიმდიდრე და სიყვარულია, რაც მას მამისაგან ებოძა! მადლობა, იესო!